

## შინაარსი

სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესი .....	2
ინფორმაცია უნივერსიტეტის შესახებ.....	3
უნივერსიტეტის მისია.....	6
უნივერსიტეტის ღირებულებები .....	6
უნივერსიტეტის ხედვა.....	8
SWOT ანალიზი.....	9
სტრატეგიული მიზნები და ამოცანები.....	12
სტრატეგიული მიმართულებისა და აქტივობების პრიორიტეტულობის განსაზღვრა.....	24

**ქუთაისის უნივერსიტეტის  
2019-2026 წ.წ.-ს  
სტრატეგიული განვითარების გეგმა**

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა (2019 – 2026 წ.წ.) ასახავს მის ღირებულებებს, მისიასა და ხედვას უმაღლესი განათლების სფეროში. იგი

წარმოადგენს უნივერსიტეტის საგზაო რუკას მისი პრიორიტეტული მიზნების განსახორციელებლად 2026 წლის ჩათვლით.

2018 წლის 24 სექტემბერს ქუთაისის უნივერსიტეტმა (შემდგომში - უნივერსიტეტი) წარმატებით გაიარა ავტორიზაციის პროცესი (უსდ-ის ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება #71), თუმცა 2018 წლის ნოემბრის თვეში უნივერსიტეტის 100%-იანი წილის მფლობელი გახდა შპს ევროპის უნივერსიტეტი, რამაც ახალი გამოწვევები და შესაძლებლობები გააჩინა. შესაბამისად გადაწყდა არსებული სტრატეგიული გეგმის გადახედვა, რათა ახალი მფლობელის მიზნებისა და მოთხოვნების შესაბამისად მომხდარიყო საგანმანათლებლო საქმიანობის და სასწავლო რესურსების განვითარება. აგრეთვე გადახედვის პროცესში მოხდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული შენიშვნების გათვალისწინებაც.

### **სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესი**

წინამდებარე გეგმა შეიმუშავა უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის კომიტეტმა (შემდგომში - დაგეგმვის კომიტეტი), რომელიც შეიქმნა რექტორის 2018 წლის 13 ნოემბრის #00001242 ბრძანებით. სტრატეგიული გეგმის შემუშავების წინ კომიტეტის წევრების მიერ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული შენიშვნების გათვალისწინებით მაქსიმალურად დაიხვეწა უნივერსიტეტის „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“, რომელიც აღწერს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ყველა საჭირო ეტაპს და ინსტრუმენტს მონიტორინგისა და პერიოდული შეფასებების ჩათვლით.

უნივერსიტეტის სტრატეგიის დაგეგმვის ეტაპზე გაიმართა ყოველკვირეული სამუშაო შეხვედრები, რომელშიც კომიტეტის წევრებთან ერთად მონაწილეობას იღებდა ყველა დაინტერესებული მხარე: უნივერსიტეტის მფლობელი, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები.

სამუშაო შეხვედრებზე, ჩაღრმავებული ინტერვიუებისა და საჭიროებათა კვლევის ანალიზის, უნივერსიტეტის მისიისა და ღირებულებების შესახებ შეხედულებათა ურთიერთგაზიარების საფუძველზე გამოიკვეთა ძირითადი სტრატეგიული მიზნების და ამოცანების კონტურები.

გეგმის შემუშავების ეტაპზე, სტრატეგიული მიზნების განსაზღვრისას, კომიტეტი დაეყრდნო შემდეგ სამართლებრივ აქტებს:

- საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოქმედი სტრატეგია - „განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021“;
- საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“;

- უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ESG (2015);
- და სხვა სამართლებრივ აქტებს.

წინამდებარე სტრატეგიის განხორციელება აამაღლებს შპს ქუთაისის უნივერსიტეტის რეპუტაციას და დაახლოვებს მას სასურველ სტატუსთან, რომელიც დეკლარირებულია უნივერსიტეტის ხედვის განაცხადში.

### ინფორმაცია უნივერსიტეტის შესახებ

ქუთაისის უნივერსიტეტი არსებობის 28-ე წელს ითვლის და ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთი უძველესია საქართველოს კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის. უნივერსიტეტი წარმოადგენს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრს, რომელიც ეფუძნება სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ჰარმონიული თანამშრომლობის პრინციპებს.

სასწავლებელი დაფუძნდა 1991 წელს „ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის ინსტიტუტის“ სახელწოდებით. მალევე, 1992 წლიდან, მიიღო უნივერსიტეტის სტატუსი. ის წარმოადგენდა მრავალპროფილიან უსდ-ს და კადრებს ამზადებდა სამართლის, ეკონომიკის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და უცხო ენების მიმართულებებით. უნივერსიტეტმა, 1996 წლიდან მიიღო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, ამავე წელს საკუთარი სახსრების მობილიზებით, შეძლო უმოკლეს ვადებში აეშენებინა საკუთარი შენობა და დღემდე იგი ფუნქციონირებს ქალაქ ქუთაისის ცენტრალურ ნაწილში მდებარე, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად კეთილმოწყობილ სივრცეში. 2010 წელს, პარტნიორთა გადაწყვეტილებით, უნივერსიტეტს შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა „ქუთაისის უნივერსიტეტი“.

ამჟამად უნივერსიტეტი ერთადერთი არასახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც ფუნქციონირებს დედაქალაქს გარეთ და ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის - ბაკალავრიატის (ბიზნესის ადმინისტრირება, ეკონომიკა და ტურიზმი), მაგისტრატურის (ფინანსები, საბანკო და სადაზღვეო საქმე, ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი) და დოქტორანტურის (ეკონომიკა) საგანმანათლებლო პროგრამებს.


უნივერსიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, რომელსაც ასრულებენ უნივერსიტეტის თანამშრომლები და სტუდენტთა ჯგუფები დამოუკიდებლად ან სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებებთან ერთად. უნივერსიტეტი ახორციელებს აღნიშნული სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობასა და შედეგების პოპულარიზაციას.

შპს ქუთაისის უნივერსიტეტი დაარსების დღიდანვე მოწინავე პოზიციაზე იყო სტუდენტთა კონტინენტის მოზიდვის მხრივ. 2011 და 2012 წლებში, ვაკანტური ადგილების შევსების

მაჩვენებლით, იგი შედიოდა საქართველოს უნივერსიტეტების ხუთეულში<sup>1</sup>. 2016 წელს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტების რაოდენობის მიხედვით კი უნივერსიტეტი საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ათეულში შედის<sup>2</sup>.

უნივერსიტეტი ათვისებობიერებს საკუთარ როლს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმართულებით და ორიენტირებულია გარე დაინტერესებულ მხარეებთან ერთად ქუთაისისა და მისი მიმდებარე რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის შესწავლისა და განვითარების გზების ძიებისკენ. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით უნივერსიტეტი საზოგადოებას სთავაზობს შესაბამის სერვისებს.

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის მმართველი ორგანოებია პარტნიორთა საერთო კრება და აკადემიური საბჭო, ხელმძღვანელი პირი - რექტორი. მმართველი ორგანოები და ხელმძღვანელი პირი, სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან ერთად, ქმნიან უნივერსიტეტის ორგანიზაციულ სტრუქტურას. სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციები შესაბამისობაშია საზოგადოების სტრატეგიული განვითარების გეგმასთან და ასახულია შინაგანაწესსა და სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებში.



შპს ქუთაისის უნივერსიტეტის საქმიანობა ეფუძნება „საქართველოს კონსტიტუციას“, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსს“, საქართველოს კანონებს: „მეწარმეთა შესახებ“, „უმაღლესი განათლების შესახებ“, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, საქართველოში მოქმედ

<sup>1</sup><https://edu.aris.ge/preview/qutaisi-universiteti/ekonomikis-turizmis-menejmentisa-da-biznesis-administriribis-sabakalavro-programebi.html>

<sup>2</sup> <http://erasmusplus.org.ge/files/publications/MOBILITY/Credit%20Mobility%202017.output.pdf>

სხვა კანონებს, ნორმატიულ აქტებს, უნივერსიტეტის წესდებას, შინაგანაწესს და სხვადასხვა სამართლებრივი აქტებს. შპს ქუთაისის უნივერსიტეტი ითვალისწინებს საქართველოს მიერ ბოლონის პროცესთან შეერთებით ნაკისრ ვალდებულებებს, იზიარებს მის კონვენციებსა და დეკლარაციებში ასახულ პრინციპებს.

## უნივერსიტეტის მისია

1) შპს ქუთაისის უნივერსიტეტი არის ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედი საქართველოს რეგიონული კერძო მრავლაპროფილური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მისიას წარმოადგენს გაცნობიერებული და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების უნარის მქონე, კეთილსინდისიერი და მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნების, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი თაობების აღზრდა, მათი უნიკალური ინდივიდუალური თავისებურებების წახალისება და განვითარების ხელშეწყობა .

უნივერსიტეტი, როგორც საქართველოს ასევე უცხოეთის დინამიური შრომითი ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე ამზადებს მაღალკვალიფიციურ, კონკურენტუნარიან სპეციალისტებს, ქმნის და ავრცელებს ახალ ცოდნას, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის უზრუნველყოფს სწავლა-სწავლებისა და კვლევის მიმზიდველ სამუშაო, სასწავლო და რეკრეაციულ გარემოს, ახდენს მათი შემოქმედებითი პოტენციალის სტიმულირებასა და წახალისებას.

აგრეთვე, აცნობიერებს რა მის სოციალურ პასუხიმგებლობას, თავის და საზოგადოებრივ საქმიანობებში ჩართულობით ხელს უწყობს რეგიონის პროფესიულ, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას.

2) შპს ქუთაისის უნივერსიტეტი არის ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედი საქართველოს რეგიონული კერძო მრავლაპროფილური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მისიას წარმოადგენს ცოდნის შექმნა და გავრცელება; უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე, გაცნობიერებული და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების უნარის მქონე, კეთილსინდისიერი და მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნების, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, მათი უნიკალური ინდივიდუალური თავისებურებების წახალისება და განვითარების ხელშეწყობა, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის სწავლა-სწავლებისა და კვლევის მიმზიდველი სამუშაო, სასწავლო და რეკრეაციული გარემოს შეთავაზებით.

აგრეთვე, აცნობიერებს რა მის სოციალურ პასუხიმგებლობას, თავის და საზოგადოებრივ საქმიანობებში ჩართულობით უნივერსიტეტი ხელს უწყობს რეგიონის პროფესიულ, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას.

## უნივერსიტეტის ღირებულებები

საკუთარი მისიის განხორციელებისას ქუთაისის უნივერსიტეტი ერთგული რჩება თავისი მთავარი ღირებულებებისა:

1. მომხმარებლებზე ფოკუსირება - შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, მაღალი ხარისხის აკადემიური და სერთიფიცირებული კურსების განხორციელება, მომხმარებლის

მიზნებზე მორგებული მაღალკვალიფიციური საკონსულტაციო მომსახურების გაწევა და სტუდენტური სერვისების მრავალფეროვნება ზრდის ამ სერვისებით მომხმარებლის კმაყოფილების ხარისხს და ხელს უწყობს ლოიალური განწყობის ფორმირებას;

2. თანაბარი შესაძლებლობები - უნივერსიტეტი ყველა სტუდენტის, თანამშრომლის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის განურჩევლად ეროვნების, მრწამსის, სქესის, ფიზიკური შესაძლებლობების, ქმნის თვითრეალიზების თანაბარ შესაძლებლობებს.
3. გამჭვირვალობა და საჯაროობა - უნივერსიტეტი არსებობის მთელი პერიოდის მანძილზე იყო და არის გამჭვირვალე თავისი საქმიანობის ყველა სფეროში: სასწავლო, სამეცნიერო, საფინანსო, საზოგადოებრივი და ა.შ.
4. მულტიკულტურული ღირებულებები - უნივერსიტეტში წახალისებულია საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის, კულტურული, სპორტული და შემეცნებით-გასართობი ღონისძიებების მრავალფეროვნება, ინტერკულტურული კავშირები და ინტეგრაცია როგორც საზოგადოებრივი ღირებულებების შექმნის საფუძველი;
5. აკადემიური თავისუფლება - უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სამეცნიერო / აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის აკადემიური საქმიანობის არჩევანის და განხორციელების თავისუფლებას;
6. სოციალური პასუხისმგებლობა - უნივერსიტეტი აცნობიერებს და აღიარებს მის წილ პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე ყველა დაინტერესებული მხარის მიმართ ;
7. აკადემიური კეთილსინდისიერება - კეთილსინდისიერება და მაღალი ეთიკური სტანდარტები განსაზღვრავს ყველა იმ აქტივობას, რასაც ახორციელებს უნივერსიტეტი თავისი საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი და საზოგადოებრივი მისიის შესრულებისას; სწავლა-სწავლების და კვლევის პროცესში ამ ღირებულების დაცვას უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პლაგიატის აღმოჩენის და რეაგირების სისტემის მეშვეობით;
8. ურთიერთპატივისცემა და გუნდური სულისკვეთება; უნივერსიტეტი ისწრაფვის განავითაროს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გრძელვადიანი, ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ჰარმონიული თანამშრომლობა.
9. ხარისხი და განვითარებისკენ სწრაფვა - უნივერსიტეტი პროაქტიურად აფასებს საკუთარი საქმიანობის შედეგებს როგორც სწავლა-სწავლებისა და კვლევის, ასევე ადმინისტრაციული მართვის სფეროში, ეძებს ხარვეზების გამომწვევ მიზეზებს და ზრუნავს მათ აღმოფხვრაზე.

## უნივერსიტეტის ხედვა

დაგეგმვის კომიტეტის მიერ მისიის განსაზღვრის შემდგომ, გამოკვეთა უნივერსიტეტის მომავლის ხედვა. სტრატეგიული განვითარების განხორციელების სამუშაო ჯგუფი შეთანხმდა შემდეგზე:

2026 წლისათვის ქუთაისის უნივერსიტეტი ასწავლის და სწავლობს - ზრდის თაობებს, თავადაც იზრდება და ვითარდება მათთან ერთად, ახდენს ახალი ცოდნის გენერირებას და უწყვეტ რეჟიმში მიწოდებას, არის ღია ყველა დაინტერესებული მხარისათვის, ქმნის და ავითარებს თანამედროვე სასწავლო, კვლევით და სამუშაო ინფრასტრუქტურას, ფინანსურად მდგრადია, იზიდავს და ინარჩუნებს მაღალკვალიფიციურ ადამიანურ რესურსს, ახდენს მათი პროფესიული განვითარებისა და მათ თვითრეალიზების ხელშეწყობას, ასევე ინტერნაციონალიზაციის პროცესში აქტიური ჩართულობა საშუალებას აძლევს წახალისოს აკადემიური და სტუდენტური მობილობა.

ამისათვის:

- ქუთაისის უნივერსიტეტი ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლებას, საზოგადოების განვითარებაზე მიმართულ საქმიანობებს.
- ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით, მათთან კომუნიკაციითა და უკუკავშირის მეშვეობით ხორციელდება სწავლა-სწავლების, კვლევის და სტუდენტური სერვისების ხარისხის განვითარება.
- უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები აკრედიტებულია ეროვნული სტანდარტით, მუდმივად ხდება მათი პროაქტიულად განვითარება;
- უნივერსიტეტი ხარისხიანი განათლების მისაღებად იზიდავს აბიტურიენტებს და სტუდენტებს როგორც საქართველოდან ისე უცხო ქვეყნებიდან;
- უნივერსიტეტს აქვს სტუდენტთა კონტიგენტის ეფექტური სელექციის პოლიტიკა და წარმატებულად ავსებს თავის რიგებს მაღალი მოსწრების სტუდენტებით;
- ეფექტიანი მუშაობით უნივერსიტეტი ავითარებს საკუთარ ბრენდს და მიღწეული რეპუტაცია მას საშუალებას აძლევს გრძელვადიანი თანამშრომლობა გააბას საიმედო პარტნიორებთან, როგორც რეგიონულ, ასევე ეროვნულ და საერთაშორისო ბაზარზე;
- უნივერსიტეტი გამოირჩევა ინოვაციური/თანამედროვე ცოდნისა და სწავლების მეთოდებით და გამართული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემით;
- უნივერსიტეტი ხელს უწყობს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და მასში რთავს მკვლევარებს როგორც საქართველოდან ასევე მის ფარგლებს გარედან;



## ხედვის ფარგლებში დაგეგმვის კომიტეტის მიერ განსაზღვრულია შემდეგი ძირითადი სამიზნე ნიშნულები:

- მედიცინის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე უნივერსიტეტი ყოველწლიურად მიიღებს მინიმუმ 100 უცხოელ სტუდენტს;
- უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის 70% არის ქუთაისის უნივერსიტეტთან აფილირებული;
- სასწავლო პროცესში ჩართულია არანაკლებ 10 უცხოელი მოწვეული/აკადემიური პერსონალი;
- უნივერსიტეტის საზოგადოებისა და გარე აქტორების 75% კმაყოფილია უნივერსიტეტის საქმიანობით;
- უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა არანაკლებ 80% არის დასაქმებული, აქედან სპეციალობით - არანაკლებ 50%;
- კურსდამთავრებულთა არანაკლებ 30% აგრძელებს სწავლას შემდეგ საფეხურზე;
- უნივერსიტეტი ახორციელებს მინიმუმ ერთ ერთობლივ სადოქტორო, ერთ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას და საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე მინიმუმ ერთ საგანმანათლებლო პროგრამას;
- უნივერსიტეტის მიერ კვლევით-სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობის დაფინანსება იქნება ბიუჯეტის არანაკლებ 8%-ით
- უნივერსიტეტს აქვს კომფორტული, სტუდენტებისა და პერსონალის მოთხოვნილებებზე ორიენტირებული, სპეციალური საჭიროების მქონე პირებზე ადაპტირებული არანაკლებ ორი კორპუსი და რეკრეაციული ზონები.
- მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების ფარგლებში კურსდამთავრებულების 20% გაივლის უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ სასერთიფიკაციო კურსებს.

## SWOT ანალიზი

უნივერსიტეტის წარსული და მიმდინარე საქმიანობის, მისი მოქმედების გარემოსა და არეალის პარამეტრების მიხედვით შესრულდა SWOT ანალიზი, რის საფუძველზეც განისაზღვრა ძლიერი მხარეები (S), სუსტი მხარეები (W), შესაძლებლობები (O) და საფრთხეები (T).

### 1. ძლიერი მხარეები (S):

- 1.1. საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე;

- 1.2. შეკრული, მაღალკვალიფიციური, მოტივირებული და გამოცდილი გუნდი, მათ შორის დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალი;
- 1.3. მაღალრეიტინგული აბიტურიენტებისთვის და სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია სასტიპენდიო მხარდაჭერისა და ფასდაკლების სერვისები, ხოლო სპეციალური კონტინგენტის აბიტურიენტებისათვის და სტუდენტებისთვის არსებობს სოციალური შეღავათებით სარგებლობის ხანგრძლივი და წარმატებული პრაქტიკა;
- 1.4. სტუდენტებისთვის მოქმედებს სწავლების საფასურის გადახდის მოქნილი სისტემა;
- 1.5. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი;
- 1.6. საერთაშორისო საგრანტო პროექტებსა და სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მდიდარი გამოცდილება;
- 1.7. საერთაშორისო ინტერ-ინსტიტუციონალური საგრანტო პროექტების ფარგლებში პერსონალის მოკლევადიანი სტაჟირების ხელშეწყობის სისტემა;
- 1.8. საერთაშორისო და ადგილობრივ, როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორის პარტნიორებთან თანამშრომლობის კარგი გამოცდილება;
- 1.9. რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკური პროფილი“, რომელსაც უნივერსიტეტი გამოსცემს 2006 წლიდან;
- 1.10. რეგიონში ბიზნეს, საგანმანათლებლო და საკონსულტაციო მომსახურების გაწევის სფეროში წარმატებული გამოცდილება;
- 1.11. მსხვილი ინვესტიციის მოზიდვის გზით მიღწეულია ფინანსური სტაბილურობის მაღალი დონე;
- 1.12. სტუდენტთა საჭიროებებზე მორგებული ინფრასტრუქტურა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემო (ლიფტი, პანდუსები და სხვ).

## 2. სუსტი მხარეები (W):

- 2.1. რეგიონის მასშტაბით აბიტურიენტებში და სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებში უნივერსიტეტის, როგორც წარმატებული ბრენდის, დაბალი ცნობადობა;
- 2.2. ერთი საბაკალავრო და ორი სამაგისტრო პროგრამა მოქმედებს აკრედიტაციის გარეშე;
- 2.3. ბოლო სამი წლის მანძილზე სტუდენტთა ახალი ნაკადების (კონტინგენტის) შემცირების არასახარბიელო ტენდენცია;
- 2.4. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების საშუალოზე დაბალი დონე;
- 2.5. სწავლების პროცესში ინოვაციური მეთოდები გამოიყენება არასაკმარისი ხარისხით, სწავლების პროცესში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების დაბალი დონე;

- 2.6. არ არის შემუშავებული და დანერგილი სწავლებისა და კვლევის ინტეგრირების შეფასების მექანიზმები;
- 2.7. მიმღები მხარის არასაკმარისი მზაობის გამო პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების სირთულე;
- 2.8. მოძველებული და მცირერიცხოვანი სასწავლო ლიტერატურა, ინგლისურენოვანი ლიტერატურის სიმცირე;
- 2.9. სწავლა-სწავლების პროცესში ნაკლებად გამოიყენება დისტანციური და ელექტრონული სწავლების კომპონენტები;
- 2.10. სტუდენტების და აკადემიური პერსონალის უმრავლესობის დაბალი კომპეტენცია უცხო ენებში;
- 2.11. დოქტორანტურის პროგრამებში უცხოელ თანახელმძღვანელთა არარსებობა;
- 2.12. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო ნაშრომების მაღალრეიტინგულ ჟურნალებში ციტირების ინდექსის დაბალი დონე;
- 2.13. თანამშრომელთა საქმიანობის შეფასებისა და სტიმულირების არაეფექტიანი სისტემა;
- 2.14. ორგანიზაციული მართვის ეფექტიანობის შეფასების სისტემა არის დასახვეწი;
- 2.15. სტუდენტთა კურიკულუმგარეშე აქტივობების დაბალი მაჩვენებელი;
- 2.16. კურსდამთავრებულთა მიერ უნივერსიტეტის საქმიანობაში არასაკმარისი ჩართულობა და მათთან კომუნიკაციის სიმცირე.

### 3. შესაძლებლობები (O):

- 3.1. საუნივერსიტეტო ქალაქად ქუთაისის გარდაქმნა აჩენს მეტ პერსპექტივას უცხოელი და ქართველი სტუდენტების მოზიდვის კუთხით;
- 3.2. უცხოელი სტუდენტების მხრიდან ქართული უნივერსიტეტების მედიცინის ერთსაფეხურიან ინტეგრირებული ინგლისურენოვან პროგრამებზე მზარდი მოთხოვნა;
- 3.3. შემოთავაზებები ევროპის უნივერსიტეტების მხრიდან აკადემიური უმაღლესი განათლების ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამების შექმნაზე;
- 3.4. ინტერნაციონალიზაციის ინსტრუმენტების გამოყენება ინსტიტუციური განვითარების პროექტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულებებით;
- 3.5. საქართველოს მთავრობის მიერ მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრიორიტეტად აღიარება და შრომის ბაზარზე გაზრდილი მოთხოვნა სერტიფიცირებად პროგრამებზე;
- 3.6. საგანმანათლებლო-საკონსულტაციო სერვისებზე მზარდი მოთხოვნილება;

### 4. საფრთხეები (T):

- 4.1. საქართველოში პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუარესება და მოსახლეობაში განკარგვადი შემოსავლების დონის და გადახდისუნარიანობის შემცირება;
- 4.2. რეგიონიდან არასტაბილური სოციალურ-ეკონომიკური პირობებით გამოწვეული მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიგრაციული პროცესები - ე.წ. „ტვინების გადინება“ ,
- 4.3. განათლების სფეროში საკანონმდებლო ბაზის სწრაფი ცვალებადობა და ხისტი, რეალობასთან შეუსაბამო მოთხოვნები;
- 4.4. საჯარო და კომერციული საგანმანათლებლო დაწესებულებებთან არაერთგვაროვანი მიდგომები, სახელმწიფოს მხრიდან საჯარო უნივერსიტეტებში პრიორიტეტული მიმართულებების საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობისა და დაფინანსების ოდენობის ზრდა;
- 4.5. კავკასიის რეგიონში უსაფრთხოების მდგომარეობის (ტერორიზმის შემთხვევები) გაუარესება, სასაზღვრო კონტროლის გამკაცრება
- 4.6. საქართველოს მთავრობის მიერ სასაზღვრო რეგულაციების გამკაცრების გამო უცხოელი სტუდენტური კონტიგენტის მოზიდვის შესაძლებლობის შემცირება;
- 4.7. განათლების ბაზარზე მუდმივად მზარდი კონკურენცია: ახალი მსხვილი კონკურენტების გამოჩენა;

### **სტრატეგიული მიზნები და ამოცანები**

დაგეგმვის კომიტეტის მიერ უნივერსიტეტის მისიისა და SWOT ანალიზიდან გამომდინარე შეიმუშავა 7 სტრატეგიული მიზანი, რომელიც უნდა განხორციელდეს 2019-2026 წ.წ.-ში. ეს მიზნებია:

1. თანამედროვე საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება;
2. შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება;
3. სწავლა-სწავლებისა და კვლევის პროცესების გაუმჯობესება და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;
4. ადამიანური რესურსების განვითარება;
5. მრავალფეროვანი სტუდენტური სერვისების განვითარება;
6. უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლება და ბრენდის განვითარება;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის განვითარება.

დაგეგმვის კომიტეტის მიერ დასახულია ყოველი სტრატეგიული მიზნის შესაბამისი ძირითადი ამოცანები და 3 წლიან ჭრილში განხორციელდა მათი რანჟირება, რომელიც აისახა სამოქმედო გეგმაში.

## **სტრატეგიული მიზანი 1. თანამედროვე საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება**

არსებული სასწავლო, სამეცნიერო და რეკრეაციული ინფრასტრუქტურის განვითარება უნივერსიტეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს. იგი უნდა ვითარდებოდეს სწავლა-სწავლების, კვლევისა და სტუდენტური ცხოვრების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, რათა შეიქმნას მაქსიმალურად კომფორტული გარემო როგორც სტუდენტებისთვის, ასევე უნივერსიტეტის თანამშრომლებისთვის. გარდა ამისა უნივერსიტეტი გეგმავს ერთი ახალი ფაკულტეტის შექმნასა და მედიცინისა და სამართალმცოდნეობის მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, რაც აგრეთვე საჭიროებს დამატებით ინფრასტრუქტურულ მოწყობას.

დასახული ამოცანები:

- 1.1. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და მათი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოწყობა
  - 1.1.1. უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და შემდგომი განვითარება, მათ შორის მედიცინის ფაკულტეტებისათვის ინფრასტრუქტურის შექმნა/განვითარება, საგამოცდო ცენტრისა და ქრეალების სივრცის კეთილმოწყობა და საჭირო ტექნიკით აღჭურვა.
  - 1.1.2. სასწავლო აუდიტორიების, ლაბორატორიების, საგამოცდო და კომპიუტერული ცენტრების, აგრეთვე ფაკულტეტებისა და დეპარტამენტების ოფისების თანამედროვე კომპიუტერული და საკომუნიკაციო ტექნიკით, აგრეთვე სასწავლო და ლაბორატორიული ინვენტარით აღჭურვა და განვითარება
  - 1.1.3. შენობა ნაგებობებისა და შიდა სივრცეების განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირების მოთხოვნების შესაბამისად ადაპტაცია
- 1.2. ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და განვითარება
  - 1.2.1. საბიბლიოთეკო ფონდების განვითარება, მათ შორის ინგლისურენოვანი უახლესი სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურით
  - 1.2.2. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაყრდნობით ბიბლიოთეკის ელექტრონული ბაზის განვითარება
  - 1.2.3. საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის გაფართოვება
  - 1.2.4. საბიბლიოთეკო სივრცის მოდერნიზაცია და საინფორმაციო-საკომუნიკაციო მოწყობილობებით აღჭურვა
- 1.3. უნივერსიტეტის საჯარო სივრცეების კეთილმოწყობა.

1.3.1. უნივერსიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა

1.3.2. სტუდენტებისათვის დამოუკიდებელი სამუშაო სივრცის მოწყობა

1.3.3. უნივერსიტეტის გარე საჯარო სივრცეების კეთილმოწყობა

### სამიზნე ნიშნულები

#	ინდიკატორის დასახელება	განმარტება (საჭიროების შემთხვევაში)	ფაქტობრივი მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი
1	სასწავლო აუდიტორიების კომპიუტერთა და პროექტორით აღჭურვის მაჩვენებელი	მულტიმედია პროექტორით და კომპიუტერთა აღჭურვილი აუდიტორიების ხვედრითი წილი % სასწავლო აუდიტორიების მთლიან რაოდენობაში	20	ზრდა არანაკლებ 100%
2	თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით განახლების მაჩვენებელი	ბოლო 3 წლის განმავლობაში შესყიდული ახალი კომპიუტერული ტექნიკის რაოდენობის ხვედრითი წილი (%) კომპიუტერების მთლიან რაოდენობაში	93%	100%
3	საერთაშორისო სამეცნიერო საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენების მაჩვენებელი	მოსარგებლე სტუდენტთა და თანამშრომელთა რაოდენობის ხვედრითი წილი (%) სტუდენტთა და თანამშრომელთა საერთო რაოდენობაში	12%	50%
4	უახლესი სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურით უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის განახლების მაჩვენებელი	ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოცემული სასწავლო სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ხვედრითი წილი (%) მთლიან საბიბლიოთეკო ფონდში	13%	25%
5	სასწავლო რესურსების (ბიბლიოთეკა, IT, სასწავლო სივრცე და აღჭურვილობა) ხელმისაწვდომობაზე სტუდენტთა კმაყოფილების დონე %-ებში	კმაყოფილების დონის 5 ან 10 ბალიანი კითხვარი; კმაყოფილების კვლევები ცალკე უნდა ჩატარდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვისაც.	90%	95%

6	სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობისა და განტვირთვისთვის კომფორტული გარემოს არსებობაზე სტუდენტთა კმაყოფილების დონე %-ებში	კმაყოფილების დონის 5 ან 10 ბალიანი კითხვარი; კმაყოფილების კვლევები ცალკე უნდა ჩატარდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვისაც.	36%	90%
---	---	---	-----	-----

**სტრატეგიული მიზანი 2. შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება**

უნივერსიტეტის ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) საგანმანათლებლო პროგრამებს და გეგმავს თანამედროვე სტანდარტებთან მათ მაქსიმალურ მიახლოებას.

ახალი ფაკულტეტებისა და სასწავლო პროგრამების დანერგვა ინფრასტრუქტურულ სამუშაოებთან ერთად მოიცავს შესაბამისი საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელებასაც. კერძოდ უნივერსიტეტი გეგმავს ბაკალავრიატის სამართლისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების და ერთსაფეხურიანი მედიცინის ინგლისურენოვანი ინტეგრირებული პროგრამის დანერგვას.

დასახული ამოცანები:

2.1. არსებული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება.

- 2.1.1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და მათში ცვლილებების შეტანის მეთოდოლოგიის შექმნა და დანერგვა
- 2.1.2. არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტიანობისა და თანამედროვე მოთხოვნებთან მიმართებაში შეფასების განხორციელება და გადახალისება
- 2.1.3. საგანმანათლებლო პროგრამებში პრაქტიკის ბაზების გაფართოებისა და არსებულის გამოყენების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით ჩამოყალიბდება მათი შერჩევისა და მონიტორინგის პროცედურები

2.2. ახალი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და განვითარება

- 2.2.1. “სამართლისა” და “საინფორმაციო ტექნოლოგიების” ბაკალავრიატის პროგრამების შემუშავება, დანერგვა და განხორციელება;
- 2.2.2. ინგლისურენოვანი მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამის დანერგვა და საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვება;
- 2.2.3. ერთობლივი სადოქტორო პროგრამის დანერგვა და განხორციელება

2.3. სერთიფიცირებული კურსების დანერგვა (LLL)

- 2.3.1. დაიხვეწება მოკლევადიანი სერტიფიცირებული პროგრამების მომზადების, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- 2.3.2. ბაზრის კვლევაზე და სამიზნე აუდიტორის კვლევაზე დაყრდნობით გადამუშავდება და განხორციელდება მოკლევადიანი სასწავლო კურსები

### სამიზნე ნიშნულები

#	ინდიკატორის დასახელება	განმარტება (საჭიროების შემთხვევაში)	ფაქტობრივი მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი
1	აკრედიტირებული აკადემიური პროგრამების რაოდენობა	ეროვნულ დონეზე აკრედიტირებული უმ. განათლების სამივე საფეხურის პროგრამები	6	9
2	პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთობლივი პროგრამების რაოდენობა		0	1
3	მოკლევადიანი სასერტიფიკატო საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა		0	მინიმუმ 8
4	სასერტიფიკატო პროგრამისა და მისი შემადგენელი კურსების შესახებ სტუდენტთა კმაყოფილების დონე	კმაყოფილების კვლევები ყოველი კურსის დასრულების შემდეგ	0	მინიმუმ 40%

### სტრატეგიული მიზანი 3. სწავლა-სწავლებისა და კვლევის პროცესების გაუმჯობესება და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა

სწავლა-სწავლებისა და კვლევის პროცესების გაუმჯობესება უნივერსიტეტის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს. მხოლოდ სწორად ორგანიზებული და ეფექტიანი პროცესით შესაძლებელია მიღწეული იქნეს უნივერსიტეტის მიზნის განსაზღვრული შედეგები, უნივერსიტეტი ინტერნაციონალიზაციას განიხილავს როგორც ეფექტურ ინსტრუმენტს, რომელიც ეხმარება მას სწავლა-სწავლებისა და კვლევაში თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვაში, აგრეთვე მოწვეული აკადემიური პერსონალის ჩართვით ახალი ცოდნის შექმნა-გაზიარებაში და ინტერკულტურული გარემოს ჩამოყალიბებაში.

დასახული ამოცანები:

- 3.1. უნივერსიტეტის მართვის სისტემის დანერგვა-განვითარება და სასწავლო და კვლევითი პროცესის ელექტრონულ სისტემებზე ეტაპობრივი გადასვლა:



- 3.1.1. სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და მართვის ეფექტიანობის სისტემის განვითარება
  - 3.1.2. სასწავლო პროცესის მართვასთან ინტეგრირებული ხარისხის მართვის, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის ეფექტური ელექტრონული სისტემების შემუშავება და დანერგვა
  - 3.1.3. გამოცდების ელექტრონული სისტემის დანერგვა
- 3.2. სწავლა-სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა და წახალისება
- 3.2.1. დისტანციური სწავლებისა ელექტრონული სისტემის დანერგვა
  - 3.2.2. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის (სიმპოზიუმის) ორგანიზების სისტემების დანერგვა.
  - 3.2.3. სტუდენტთა წერით ნაშრომებში პლაგიატის გამოვლენის ელექტრონული სისტემის დანერგვა.
  - 3.2.4. დარგის გამოჩენილი მკვლევარებისა და ექსპერტების საჯარო ლექციების სისტემის დანერგვა
  - 3.2.5. სამეცნიერო კვლევებში დოქტორანტთა ჩართულობის წახალისების მიზნით საუნივერსიტეტო შიდა საგრანტო სისტემის განახლება და განვითარება;
  - 3.2.6. კვლევით საქმიანობის განვითარების ხელშემწყობი მექანიზმების გაუმჯობესება და შესაბამისი ტრენინგების განხორციელება.
  - 3.2.7. აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების მაღალრეიტინგულ რეფერირებად ჟურნალებში სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების ხელშეწყობისა და წახალისების სისტემის ჩამოყალიბება
- 3.3. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება სწავლა-სწავლების, კვლევის და ადმინისტრირების ხარისხის ასამაღლებლად
- 3.3.1. ქართულენოვანი პროგრამებში ინგლისურენოვანი კომპონენტების განვითარების ხელშეწყობა
  - 3.3.2. აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ინგლისურენოვანი კომპეტენციის გაზრდა
  - 3.3.3. უნივერსიტეტის სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალ - „ეკონომიკური პროფილის“ საერთაშორისო სამეცნიერო ქსელებში რეიტინგის გაზრდისაკენ მიმართული საქმიანობების განხორციელება
  - 3.3.4. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ კვლევით პროექტებში სტუდენტთა და თანამშრომელთა ჩართულობის წახალისების სისტემის ჩამოყალიბება
  - 3.3.5. სამივე საფეხურის სტუდენტების, აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო მობილობაში ჩართვის ხელშეწყობისა და წახალისების სისტემის ჩამოყალიბება

3.3.6. უცხოელი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა.

### სამიზნე ნიშნულები

#	ინდიკატორის დასახელება	განმარტება (საჭიროების შემთხვევაში)	ფაქტობრივი მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი
1	საგამოცდო ცენტრით (სტუდენტთა ცოდნის შეფასების კომპიუტერიზებული სისტემით) შეფასებული საგანმანათლებლო კურსების რაოდენობა	საგამოცდო ცენტრში სულ უფრო მეტი კურსების შეტანა.	0%	100%
2	უნივერსიტეტში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებში ინგლისურ ენაზე მომზადებული სასწავლო კურსების რაოდენობა		0	5
3	გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	წინა საანგარიშო პერიოდში	3	4
4	სასწავლო პროცესის, ცალკეული პროგრამისა და მისი შემადგენელი კურსების შესახებ სტუდენტთა კმაყოფილების დონე	ყოველსემესტრული კმაყოფილების კვლევები	90%	100%

### სტრატეგიული მიზანი 4. ადამიანური რესურსების განვითარება

ადამიანური რესურსების განვითარება უნივერსიტეტის წინაშე მდგომი ერთ-ერთ გამოწვევაა, რომლის დაძლევის გარეშეც ვერ მოხდება ორგანიზაციული მდგრადობის უზრუნველყოფა და უნივერსიტეტის მისიის წარმატებით შესრულება. დასახული ამოცანის შესრულება საშუალებას მისცემს უნივერსიტეტს, გახდეს ერთ-ერთი სასურველი და სანდო დამსაქმებელი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.

დასახული ამოცანები:

4.1. ადამიანური რესურსების მართვის, პერსონალური და პროფესიული განვითარების სისტემების გაუმჯობესება:

4.1.1. დაინერგება და განვითარდება მაღალკვალიფიცირებული პერსონალის რეკრუტირების, მოზიდვის, განვითარების და შენარჩუნებისა მექანიზმი

- 4.1.2. შემუშავდება და დაინერგება აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემა
- 4.1.3. დაიხვეწება და დაინერგება პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებების შეფასების სისტემა
- 4.1.4. ამოქმედდება პერსონალის შეფასებაზე დაფუძნებული და მათ საჭიროებაზე მორგებული კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული გადამზადების სისტემა.

4.2. მედიცინის პროგრამის აკადემიური პერსონალი და მოწვეული სპეციალისტები გადამზადდება

### სამიზნე ნიშნულები

#	ინდიკატორის დასახელება	განმარტება (საჭიროების შემთხვევაში)	ფაქტობრივი მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი
1	აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მთლიან რაოდენობასთან		22/46 (1/2)	1/ 1.3
2	აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა დაწესებულების პერსონალის მთლიან რაოდენობასთან		22/105 (1/5)	1/3
3	აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეული პერსონალის რაოდენობასთან		22/49 (1/ 2.2)	1/ 1.4
4	აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან		71/299 (1/4)	1/12
5	აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობასთან		71/6 (11.8 / 1)	11/1
6	ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან		46/229 (1/ 6.5)	1/18

7	აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მთლიან რაოდენობასთან		12/71 (1/6)	1/3
8	აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან		12/299 (1/25)	1/ 38
9	ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების რაოდენობის თანაფარდობა		1/4	1/5
10	აკადემიური პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი		67%	85%
11	მოწვეული პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი		58%	70%
12	ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი		87%	75%
13	კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი (ბოლო ავტორიზაციის პერიოდში)		71%	80%
14	კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად (ბოლო ავტორიზაციის პერიოდში)		69%	75%
15	ავტორიზაციის მინიჭებიდან, სადოქტორო ნაშრომების დაცვის მაჩვენებელი		100% (სულ 7 დისერტაცია)	100% (სულ 15 დისერტაცია)
16	ადმინისტრაციული ხარჯების თანაფარდობა მთლიან ბიუჯეტთან		22%	16%
17	კვლევითი/სახელოვნებო, განვითარებისა და შემოქმედებითი საქმიანობისთვის გამოყოფილი თანხის ოდენობის თანაფარდობა უსდ-მთლიანი ბიუჯეტთან		3%	9%

სტრატეგიული მიზანი 5.

## მრავალფეროვანი სტუდენტური სერვისების განვითარება

უნივერსიტეტი მიზნად ისახავს სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი და ეფექტიანი სერვისების მიწოდებას. მომხმარებლებზე ფოკუსირება უნივერსიტეტის ერთ-ერთი მთავარი ღირებულებაა, რომლის დაცვა არ შემოისაზღვრება მხოლოდ შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული მაღალი ხარისხის აკადემიური და სერტიფიცირებად საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით. იგი გულისხმობს სხვადასხვა ინოვაციური და ეფექტიანი სტუდენტური სერვისების განვითარებასაც, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტების პიროვნულ და პროფესიულ წინსვლას.

დასახული ამოცანები:

- 5.1. სტუდენტთა საინფორმაციო-ტექნიკური მხარდაჭერა, მათთვის საკონსულტაციო მომსახურების, ადმინისტრაციული და დამხმარე სერვისების განვითარების გზით
  - 5.1.1. სწავლა-სწავლების, კვლევის სფეროში ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის სერვისების, შეღავათებისა და წახალისების სისტემის შესახებ სტუდენტთათვის ორენოვანი გზამკვლევის შექმნა და ინფორმაციის მიწოდების სისტემის ჩამოყალიბება
  - 5.1.2. უცხოელი სტუდენტების სოციალურ-კულტურულ ადაპტაციაზე მიმართული და საჭიროებაზე მორგებული საუნივერსიტეტო სერვისების ფორმირება და განვითარება
- 5.2. სტუდენტების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობა
  - 5.2.1. სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის პიროვნული და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაზე მიმართული ტრენინგ კურსების სისტემის დანერგვა
  - 5.2.2. “ქრეალაბის” ფარგლებში სტუდენტების ინოვაციური იდეებისა და პროექტების ყოველწლიური კონკურსის განხორციელება
  - 5.2.3. როგორც უნივერსიტეტში, ასევე სხვა დაწესებულებებში სტუდენტური დასაქმების და სტაჟირების სერვისის ფორმირება და განვითარება
  - 5.2.4. დამსაქმებლებთან აქტიური კომუნიკაციის გზით სტუდენტთა სტაჟირების სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება
  - 5.2.5. კურსდამთავრებულთა ქსელის განვითარება და მათი ჩართვა უნივერსიტეტის საქმიანობაში
  - 5.2.6. კურსდამთავრებულებისათვის იმ სერტიფიცირებული კურსის ან საგანმანათლებლო პროგრამების სწავლებაზე წახალისების სისტემის შემოღება, რომლებიც უზრუნველყოფს მათი სამუშაო სპეციფიკის შესაბამისი ახალი ცოდნის შეძენას
- 5.3. სტუდენტური ცხოვრების მრავალფეროვნების უზრუნველყოფა

- 5.3.1. სტუდენტური თვითმმართველობის მხარდაჭერის მიზნით მისი ფინანსური და ორგანიზაციული განვითარების სისტემის შემუშავება და გაუმჯობესება
- 5.3.2. საუნივერსიტეტო სპორტული კლუბებისა და გუნდების განვითარების ხელშეწყობისა და წახალისების სისტემის შემუშავება და დანერგვა
- 5.3.3. უნივერსიტეტში სტუდენტური თვითმმართველების განვითარების ხელშეწყობისა და წახალისების სისტემის შემუშავება და დანერგვა
- 5.3.4. სამოქალაქო და სოციალური აქტივობის კუთხით სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ინიცირებული პროექტების და ღონისძიებების კონკურსის სისტემის ფორმირება და განვითარება

**სამიზნე ნიშნულები**

#	ინდიკატორის დასახელება	განმარტება (საჭიროების შემთხვევაში)	ფაქტობრივი მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი
1	სტუდენტების კმაყოფილების დონის განსაზღვრა ადმინისტრაციული სერვისისა და საჭირო კონსულტაციების დროულ მიწოდებაზე		69%	95%
2	სტუდენტური თვითმმართველობის აქტივობებისთვის გამოყოფილი თანხების ხვედრითი წილი უნივერსიტეტის წლიურ შემოსულობებთან		1%	2%
3	სტუდენტების მიერ განხორციელებული სამოქალაქო და სოციალური აქტივობის პროექტთა რაოდენობა	წელიწადში	10	20
4	შემოქმედებითი, გასართობი და სპორტული ღონისძიებებისთვის გამოყოფილი თანხის ოდენობის თანაფარდობა უსდ-მთლიან ბიუჯეტთან		1.2 %	2%
5	კურსდამთავრებულთა დასაქმების %-ული მაჩვენებელი	დასაქმება მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად	71%	80%

**სტრატეგიული მიზანი 6. უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლება და ბრენდის განვითარება**

უკანასკნელი წლების ტენდენციიდან აჩვენა რომ მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისის უნივერსიტეტის არის უძველესი კერძო უნივერსიტეტი, რომელსაც გააჩნია მრავალწლიანი და მჭიდრო კავშირები დამსაქმებლებთან, ხოლო სტუდენტების დასაქმების დონე სხვა ანალოგიური უნივერსიტეტებთან შედარებით საშუალოზე მაღალია, რეგიონის მასშტაბით აბიტურიენტებში და სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებში მისი ცნობადობა, როგორც წარმატებული საუნივერსიტეტო ბრენდისა, მაინც დაბალია.

დასახული ამოცანები:

- 6.1. სამიზნე აუდიტორიასთან პირდაპირი კომუნიკაციის დონის გაუმჯობესება და შემდგომი განვითარება:
  - 6.1.1. სამიზნე ჯგუფებში ჩატარებულ მარკეტინგულ კვლევებზე დაყრდნობით უნივერსიტეტის ბრენდის განვითარების პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება და შემდგომი განვითარება
  - 6.1.2. უნივერსიტეტის სანდოობისა და რეპუტაციის ამაღლებაზე მიმართული და სხვადასხვა სამიზნე სეგმენტზე მორგებული და მრავალფეროვანი საკომუნიკაციო არხების გამოყენებით საინფორმაციო კამპანიების განხორციელება

#	ინდიკატორის დასახელება	განმარტება (საჭიროების შემთხვევაში)	ფაქტობრივი მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი
1	უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლებასა და ბრენდის განვითარებაზე გამოყოფილი ყოველწლიური ხარჯების ხვედრითი წილი (%) უნივერსიტეტის მთლიან ბიუჯეტში	ყოველწლიური ბიუჯეტი	200.0 ათასი	არანაკლებ 300.0 ათასი

### სტრატეგიული მიზანი 7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის განვითარება

ქუთაისის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მიზნად ისახავს უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფა პროაქტიულად ხორციელდებოდეს სწავლა-სწავლების, კვლევის და ადმინისტრაციული მართვის სფეროში საქმიანობის შედეგების შეფასების, ხარვეზების გამომწვევი მიზეზების გამოვლენით და მათ აღმოფხვრაზე ზრუნვით.

უნივერსიტეტი ორიენტირებულია ხარისხის შიდა და გარე შეფასების მეთოდების და „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ (PDCA) ციკლის გამოყენებაზე.

დასახული ამოცანები:

7.1. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის განვითარება.

7.1.1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტრუქტურის შეფასება და განახლება

7.1.2. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის განახლება და დანერგვა.

7.1.3. საგანმანათლებლო პროგრამების კომიტეტის მუშაობაში სტუდენტების ჩართულობის უზრუნველყოფად შესაბამისი წესის შემუშავება.

7.1.4. უცხოურ უნივერსიტეტებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების გაზიარების მიზნით.

7.2. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის დაგეგმვის და ანგარიშების სისტემის დანერგვა:

7.2.1. საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიშების წარდგენისა და მისი შეფასების სისტემის შემუშავება და დანერგვა;

7.2.2. საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტური განხორციელების მიზნით უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ურთიერთდასწრებისა და კონსულტირების სისტემის შემუშავება და დანერგვა

7.3. ხარისხის შიდა შეფასების სისტემის განვითარება:

7.3.1. სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების შეფასების სისტემის განახლება და განვითარება

7.3.2. სწავლა-სწავლების და კვლევის შეფასებაში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა ჩართულობის წესის შემუშავება და განვითარება.

7.4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით 2 წლიანი მონიტორინგის პროცესისათვის მზადება

7.5. რეავტორიზაციის პროცესისათვის მზადება.

### **სტრატეგიული მიმართულებისა და აქტივობების პრიორიტეტულობის განსაზღვრა**

სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფმა მოახდინა შემუშავებულ სტრატეგიული მიმართულებისა და მათ შესაბამის აქტივობების პრიორიტეტულობის განსაზღვრა არანაყოფის წესით, რომლის ფარგლებშიც იქნა გათვალისწინებული თუ რომელი სტრატეგიული მიმართულება და აქტივობა უნდა განხორციელდეს უპირველესყოფლისა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს უნივერსიტეტის მისიისა და დასახული მიზნების ეფექტიან მიღწევა.



ყველაზე მაღალი პრიორიტეტის მქონე სტრატეგიული მიმართულებითა და აქტივობებით მოხდა უნივერსიტეტის 3 წლიანი სამოქმედო გეგმის ფორმირება.